დეს, რომ ამ არჩევნების მოწყობაზე ლიდძალი ფული დავხარჯეთ, მაგრამ თუმცა გვწამს რომ ამ არჩევნების შედეგი უნაყოფო იქნება, მაგრამ იგი ბოლომდის უნდა მიიყვანოთ, რომ უკვე გაწეული ხარჯები გავამართლოთ. ამგვარად მათ სურთ ძველი ცოდვების მონანიება ახალი ცოდვების ჩადენით.

და როგორიც უნდა იყვეს მომავალში სოციალდემოკრატების ახალი „ცოდვები" დღეს ყველასათვის ცხადზე უცხადესია, რომ სოციალდემოკრატია ამ გზით ვერ შექმნის ნამდვილს დემოკრატიულ საძირკველზე აგებულს ერობის აპარატებს და მისი პარტიული კიუტობა ამ მეტად სასარგებლო საქმესაც დაასამარებს.

## სიცოცხლის ნიხრი

ჩვენი ერის ცხოვრება მიეჩვია ჯერ, რომ ყოველივე მოვლენას თავისი ბეჭედი ჰქონდეს დასმული და საკუთარი „პატენტი" მიკუთვნილი.

არავითარი ახალი და უცნაური ამბავი აღელვებს ჩვენს სულს, ყველაფერს მიჩვეულს, და სხეულს—ყველაფერს ამტანს.

ჩვენ დავიწყებული რომ ყოველივე საჭიროებას აქვს თავისი დაწესებული ნიხრი, რომელიც აუცილებლად უნდა გადვიხადოთ.

რომ შიმშილი ავიცილოთ, უნდა მივსცეთ პურში 5 მანეთი.

რომ ფეხშიშველმა არ ვიაროთ, ფეხსაცმელებში უნდა მივსცეთ 500 მანეთი.

და ტანსაცმლისთვის საჭიროა 1500 მანეთი.

ჩვენ შევურიგდით ამას, რადგან ეს არის ჩვენი სიცოცხლისათვის აუცილებელი საგნები და ჩვენც უდაოთ ვიხდით ამ ფასს.

მაგრამ რა ღირს თვით ადამიანის სიცოცხლე? უამისოთ ხომ რა საჭიროა ყველა ეს საგნები?

და ამ დღემდე ალბათ პრაქტიკულად ცოტა ვინმე თუ ჩაფიქრებულა ამ საგანზედ, არა მარტო ჩვენს საქართველოში, მთელს მსოფლიოშიც.

ჩვენ ვიცნობთ ფილოსოფოსებს, რომელნიც ლაპარაკობენ სიცოცხლის ღირებულებაზედ.

ჩვენ ვიცნობთ მეცნიერებს, რომელნიც ეძებდენ აზრს სიცოცხლისას.

ჩვენ გვახსოვს ბისმარკის სიტყვა, რომ ერთ პომერანელ ჯარისკაცის სიცოცხლეს არ გაცვლიდა მთელი აზიის სიცოცხლეში.

მაგრამ ფასი, მანეთი, სიცოცხლეზედ ჯერ არავის დაუწესებია.

ეს ფასი დაწესდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

და არამც თუ დაწესდა, დადგენილია მაზედ ნიხრიც: არის ხალხი, რომელიც იხდის მას, რომ შეიძინოს ნება თავისი მიწიერი ცხოვრებისა.

ეროვნულ საბჭოს გუშინდელ სხდომაზე გაიხსნა ეს ახალი სინამდვილე.

გორის სარევოლუციო ტრიბუნალს გამოაქვს სასიკვდილო განაჩენები, რომელნიც შეიძლება შეიცვალონ 3000 მანეთის ჯარიმის გადახდით!

ეს არის სიცოცხლის ნიხრი!

თუ გაქვთ ეს ფული, სიცოცხლის უფლებაც გეძლევათ; თუ არა და, მიიღებთ წინასწარ ბარათს საიქიოსკენ.

მაგრამ როგორც ყოველივე ვაჭრობაში სპეკულიაცია სპობს დაწესებულ ნიხრს, ისე ამ ახალ დარგშიც თავიჩენს ეს სენი.

იუსტიციის მინისტრს ერთის ასეთის წესით დასჯილისაგან მიუღია ბარათი, რომელშიაც იგი შემდეგსა სწერს:

„ხომ დამხვრიტეთ და ახლა მაინც გამანთავისუფლეთო".

საბრალო! მან არ იცის ალბათ რას ნიშნავს საკომისიო პროცენტი.

იუსტიციის მინისტრმა ეს ფაქტი დაადასტურა; და არამც თუ მარტო ეს ფაქტი, მან აღიარა მთელი ბოროტება ამ სარევოლუციო ტრიბუნალებისა.

მე მრწამს გულწრფელობა იუსტიციის მინისტრისა.

მე ისიც კი მწამს, რომ შალვა მესხიშვილს სწადია ებრძოლოს ამ საშინელებას.

ის ხომ ადამიანია!

მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ეს არის ერთი და არიან ათასნი სხვანი, რომელნიც სხვანაირათ ფიქრობენ.

გორის ტრიბუნალში „მსაჯულობენ" ორი ექიმი, ერთი ფერშალი და ერთი მასწავლებელი.

თქვენ რასაკვირველია შეგიძლიათ არ იფიქროთ ამ ფასზედ, რასაც ეს „მსაჯულნი" დააწესებენ თქვენს სიცოცხლეზედ, რადგან არა ხართ არც ყაჩაღი და არც სახელმწიფო მოღალატე, და იმედოვნებთ, რომ იქ არ გაგასამართლებენ.

მხოლოდ ერთი ფაქტი, ამ ტრიბუნალის თავმჯდომარემ ექიმმა კობერიძემ განაცხადა, რომ მან მხოლოდ 5 ბრალდებულს გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი და მათ შორის მხოლოდ ერთი აღმოჩნდა უდანაშაულო.

უდანაშაულოთ სიკვდილის დასჯა—გესმისთ ეს რას ჰნიშნავს?

და სიკვდილით დაისაჯა ალბათ მის თვის, რომ მას არ ჰქონდა უცნაური „ინდულგენციის" საკმაო ფასი?

როცა ამ კოშმარულ ფაქტებს რევაზ გაბაშვილი პარლამენტის ტრიბუნაზედ გრძელ კრიმინალებით აგორებდა, მე ვაკვირდებოდი ჩვენს დეპუტატებს: მარჯვნით და ცენტრში გაშტერებული უცქეროდნენ ორატორს, მხოლოდ სოციალ-დემოკრატ. და თავრობის სკამებზედ იღიმებოდნენ იმ ღიმილით რომელიც ან ნაძალადევია და ან შექმნილი შეგდების და მოკლულის განწირების ჟამს.

სოციალ-დემოკრატები ბედნიერნი არიან:

მათ შეუძლიათ ღიმილით გაატარონ სახრჩობელაზედ, უდანაშაულოთ დასჯილნი.

დ. ჯაფარიძე.

## მთავრობის წრეებში

9 აგვისტოს სხდომაზე მთავრობამ უარჰყო რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა რუს-ლტოლვილთა გადამყვან მეფურგუნების დასაკმაყოფილებლად 1875 მან. გადადების შესახებ.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საექიმო სასანიტარო განყოფილებისთვის მთავრობამ გადასდო 200,000 მან. 10 მილიონიან ფონდიდან.

—

მთავრობამ დაადგინა: კავკასიის საარქეოგრაფიო საზოგადოება გაუქმდეს, ხოლო ყველა მისი აქტები და საქმეები გადაეცეს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

—

სასურსათო სამინისტროს დაევალა სოხუმის ოლქს მისცეს სამანუფაქტურო საქონელი.

—

მთავრობამ განიხილა ქართულ კლუბის მამასახლისთა საბჭოს შუამდგომლობა 11 საათის შემდეგ კლუბის მოქმედების შესახებ და დადგენილ იქმნა შუამდგომლობა შეწყნარებულ იქნას იმ პირობით, რომ 11 საათის შემდეგ მხოლოდ სანთლებით ისარგებლონ და ელექტრონის და ნავთის სინათლე არ იხმარონ.

—

მთავრობამ განიხილა გრინიოვის თხოვნა, რომელსაც ოთხი წლის კატორღა ჰქონდა მისჯილი კერენსკის შეურაცხყოფისა და ლოზუნგებით მთავრობის წინააღმდეგ მოწოდებისათვის· დაადგინეს, გრინიოვი განთავისუფლებულ იქნეს იმ პირობით, რომ მან საქართველოს ტერიტორია დასტოვოს.

—

ეროვნულ საბჭოს ხელოვნების კომისიის მოხსენება საქართველოს ლტოლვილების შესახებ ფრაქციებს გადაეცეს განსახილველად.

—

სკოლების ეროვნულ საფუძველზე მოწყობის საკითხი გადაეცა განათლების მინისტრს თავისი აზრის გამოსათქმელად.

—

ზონების გამოშვების განახლების გამო ადერბეიჯანის ელჩის პროტესტის შესახებ მთავრობამ აეკრძალა ადერბეიჯანში ფულის გადაგზავნა, როგორც ფოსტის ისე ბანკების საშუალებით.

—

დამტკიცებულ იქმნა დებულებანი გერმანიაში გასაგზავნ საქონლის კომისიისა.

—

10 მილიონიან ფონდიდან გზათა სამინისტროს განკარგულებაში 100.000 მან. გადაეცა თიანეთის მაზრის სოფ. ილდოყანში ნავთის დასამუშავებლად.

—

შტატს გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა დაკმაყოფილების საკითხი სახელმწიფო კონტროლიორს, სამხედრო და შრომის მინისტრებს გადაეცათ გადასაწყვეტად.

—

მთავრობამ დაადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალოს ტერაპევტთან საფოსტო ურთიერთობის მოწყობა.

# ეროვნული საბჭო

## 9 აგვისტო

სრულიად მოულოდნელად დღევანდელი სხდომა დიდ საპარლამენტო დღეთ გადაიქცა. რად.-დემ. დ. ჩიქოვანის შეკითხვამ ტუსაღების გაუსამართლებლათ დახვრეტის შესახებ ჩვეულების წინააღმდეგ აალაპარაკა სოციალ-დემოკრატების მარჯვნივ დაწყებული თითქმის ყველა ფრაქციები. რ. გაბაშვილის გამოსვლა კი აპოთეოზი იყო იმ მძიმე მდგომარეობის, რომელიც შეიქმნა დარბაზში. შეურყეველი საბუთებით დამტკიცდა, რომ ადმინისტრაცია, პირდაპირი და ვერაგული საშუალებით თვით ასამართლებს ტუსაღებს და მათ სისტემით გადაიქცა ტუსაღთა გაუსამართლებლათ ხვრეტა. რ. გაბაშვილმა მოიყვანა მთელი რიგი საბუთებისა, თუ როგორი თვითნებობაა დამყარებული დღევანდელ სასამართლოებში, ვგრედ წოდებულ სარევოლუციო ტრიბუნალებში, სადაც ხშირათ უდანაშაულოთ სიკვდილით სჯიან ბრალდებულთ, ან და სასჯელს ჯარიმით უცვლიან. არც იუსტიციის და არც შინაგან საქმეთა მინისტრებმა არ სცადეს ამ ბრალდებათა უარყოფა, იუსტიციის მინისტრმა კიდეც აღიარა შეუძლებლობა ამ წესისა, და ამის მთავარ მიზეზათ აღიარა ის, რომ სასამართლო და საადმინისტრაციო ფუნქციები საკმაოთ გაყოფილნი არ არიან, მდგომარეობამ იმ სიმძიმეს მიაღწია, საიდანაც ძალიან ახლოა სამთავრობო კრიზისი. ეს გარემოება სწორედ დაეტყო მარცხენა ფრთას მით, რომ დროზედ შესწყვიტა სხდომა, თორემ ძნელი სათქმელია თუ რა მოულოდნელობით დასრულდებოდა ეს საპარლამენტო დღე.

დ.

—

9 აგვისტოს სხდომა
თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი

## კანონპროექტები

საბჭო სწრაფად ამტკიცებს რამოდენიმე კანონპროექტს. მათ შორის, ფინანსთა სამინისტროსთან დროებით საგანგებო სალიკვიდაციო განყოფილების დაარსების შესახებ, რომლისათვის გადადებულ იქნა 12 ათასი მანეთი და შინაგან საქმეთა მინისტრის კანონპროექტი ქუთაისში საქონლის ქირთან მებრძოლ სადგურისათვის ასი ათასი მანეთის გადადების შესახებ. (კანონები ჩვენი გაზეთის შემდეგ №-ში ცალკე დაიბეჭდება).

## ტუსაღების გაუსამართლებლად დახვრეტა

საბჭო გადადის რადიკალ-დემოკრატ დ. ჩიქოვანის შეკითხვის განხილვაზედ, ტუსაღების გაუსამართლებლად დახვრეტის შესახებ. საბჭოს წევრი კითხულობს შეკითხვის ტექსტს:

მთავრობისადმი შეკითხვა

დამნაშავეთ, რომელთაც ატუსაღებენ რესპუბლიკის აღმასრულებელი ძალები, არის შემთხვევა, რომ მიჰყავთ ვითომცდა გასამართლებლად და ამავე დროს კი, გზაში, ღლისით ხალხის დასანახავ გაუსამართლებლივ ხვრეტენ.

იცის თუ არა ეს გარემოება მთავრობამ, და თუ იცის მაშინ რა ზომები აქვს მიღებული ასეთ უკანონო და დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის ყოვლად შეუწყნარებელი სიკვდილით დასჯის ხსენებულ საშუალების მოსასპობად.

საბჭოს წევრი დავით ჩიქოვანი
31 ივლისი 1918 წ.

## დ. ჩიქოვანის სიტყვა

შეკითხვის შესახებ პირველად ლაპარაკობს თვით ავტორი დ. ჩიქოვანი.

### სამართლისა და ადმინისტრაციის ფუნქციები არეულია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე, არიან ორგანონი კანონმდებელი და აღმასრულებელი, არიან დაწესებულებანი საადმინისტრაციო და სასამართლო, მათი ფუნქციები საკმაოდ ვერ არიან განსაზღვრულნი, რაიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს სახელმწიფოებრივ კეთილდღეობისათვის. განსაკუთრებით მეგნება საადმინისტრაციო და სასამართლო ფუნქციების არევა. მათმა გამოყოფამ ვერ გამოიღო შესაფერი ნაყოფი რომლის გამოა ნიადაგი ექმნება მრავალ უსამართლობათ.

### 9 ტუსაღის დახვრეტა

ადმინისტრაცია თვით ასამართლებს დამნაშავეთ და ეს მოვლენა იღებს თითქმის ეპიდემიურ ხასიათს. მე შემიძლია მოგიყვანოთ 9 მაგალითი იმისა, (შეიძლება მარტო ერთი უენადან), რომ აღმასრულებელმა ძალამ თვით გაასამართლა ტუსაღები; ეს მოხდა ამიერკავკასიის მთავრობის დროსაც და საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგაც. მართალია ამ 9-ში 8 მეტად ცუდი და მავნე პიროვნებანი იყვნენ, მაგრამ უფლებრივ სახელმწიფოში შეუძლებელია, რომ ასეთ მოვლენას ადგილი ჰქონდეს. ამ რიგა შემთხვევისათვის მე მაინც ლიდი ყურადღება არ მიმიქცევია, მისთვის, რომ როგორც ვსთქვი დახვრეტილნი მეტად ცუდი პიროვნებანი იყვნენ, მაგრამ მე-9-ე შემთხვევამ, რომელიც თითქმის ჩემს თვალწინ მოხდა, მეტად ჩამაფიქრა და ამაღელვა კიდეც, რომ ეს არ ყოფილან პოლიტიკური მკვლელობანი, არამედ ეხეთი წესი გასამართლებისა ადმინისტრაციას სისტემად გადაუქცევია.

### ნაძალადევი—ტუსაღთა ხაყაჩაოა

ადმინისტრაციას განსაკუთრებული ადგილიც კი აურჩევიათ ამ თავის უცნაურ სასამართლოსათვის. ქალაქის სხვა და სხვა ვუბნებიდან, ტუსაღნი მიჰყავთ ამ რაიონში, ვითომცდა სოციალ-დემოკრატიულ ბიუროში ჩვენების ჩამოსართმევად და ხვრეტენ მის გვერდით. ეს ხდება თითქმის ყოველ ღამე და ამას მცხოვრებნი ისე მიეჩვივნენ, რომ მათ ეს აღარც აკვირვებთ.

### ფედერალისტის რუსაძის მკვლელობა.

უკანასკნელი შემთხვევა, რომელზედაც მე მოგახსენეთ, მოხდა ცოტა სხვანაირ შემთხვევაში. პირველ აგვისტოს, დილის 7 საათზე, ნაძალადევში, მილიციონერებმა გამოატარეს პატიმარი, რომელიც მათი სიტყვით, მიჰყავდათ სოც.-დემ. ბიუროში. სინემატოგრაფის ახლოს მოუნდომეს მოკვლა, ხელი შეუშალეს შემთხვევით გამვლელმა ქალებმა, მაგრამ გაიარეს რა მცირე მანძილი, თავისი განზრახვა მაინც აასრულეს. როდესაც პირველი ტყვიით დაჭრილი ტუსაღი დაეცა, გამვლელ ერთის ჩემს ნაცნობს უნდოდა ხელი შეეშალა ვერაგ მკვლელებისათვის, მაგრამ ამა რას გახდებოდა. ძირს დაცემული, დაჭრილი ტუსაღი რამდენიმე ტყვიით იქმნა მოკლული. მოკლულს ხელები ზურგზედ ჰქონდა დაკრეფილი, და, რასაკვირველია, არავითარ წინააღმდეგობაზე ლაპარაკი არ შეიძლება; მას ჯიბეში აღმოაჩნდა რევოლვერი და სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის საწევრო მოწმობა.

### იუსტიციის სამინისტროს „საქმიანობა".

მე არ მინდა არავინ დამნაშავის სკამზედ დავსვა, მაგრამ ეროვნულმა საბჭომ, როგორც უმაღლესმა ორგანომ, უნდა იცოდეს, თუ როგორი სამართალია სახელმწიფოში და როგორი აღმასრულებელი ძალა ამ სამართლისა. თქვენ დააკანონეთ სიკვდილით დასჯა, მაგრამ ჯერაც არ არის ის საგანგებო სასამართლო, რომელსაც უნდა განეხილა ამისთანა საქმეები, კანონ-პროექტი კი ამის შესახებ ავერ ერთი თვეა, რაც ფრაქციების მაგიდებშია და ვერ გავიგე, იუსტიციის მინისტრის რა მოსაზრებით, დღემდე ვერ იხილა ეროვნულმა საბჭომ.

ბატონებო, ჩვენ ვიცით, რომ არიან ისეთი მოქალაქენიც, რომელთათვისაც არსებობს ციხე, სამართალიც და ადმინისტრაციაც, მაგრამ თქვენ დაინახეთ ეხლა, რომ არიან ისეთნიც რომელთათვის არავითარი ცხვთი არ არსებობს.

ეროვნულმა საბჭომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას და სამართლის წინაშე, თანაბარად-უფლებიანი უნდა გახდეს ყოველი მოქალაქე.

## იუსტიციის მინისტრის პასუხი.

მთავრობის სახელით შეკითხვებს უპასუხებს იუსტიციის მინისტრი შალვა მესხიშვილი.

### არა სახელმწიფოებრივი შეხედულება.

მე გულდასმით ვუსმენდი ჩიქოვანის სიტყვას, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ შეკითხვის დასაბუთება მის სიტყვაში ვერ დავინახე. მთავრობას ისეთი მძიმე მდგომარეობა აწევს თავზედ, იმდენად დაუწყობელია ჩვენი სახელმწიფო, რომ ყოველი მოქალაქე, მით უმეტეს ეროვნულ საბჭოს წევრი, ვალდებულია რითაც შეუძლია დაეხმაროს თავის მთავრობას თავის საძნელო მუშაობაში, ამ დროს ჩიქოვანს შემოაქვს შეკითხვა, რომელიც სრულებით არა სახელმწიფოებრივის შეხედულებით ასაბუთებს თავის შეკითხვას. საბჭოს წევრს ჩიქოვანს, თურმე 9 ფაქტი აქვს ხელში, მათში 8-ის შესახებ მიითმინა და მხოლოდ მეცხრეზედ შემოიტანა.

### ტუსაღების დახვრეტა უბრალო მკვლელობაა.

როგორც იუსტიციის მინისტრი, ვალდებული ვარ განვაცხადო, რომ ჩემთვის ყველა 9 შემთხვევა ყოვლად შეუწყნარებელია. როგორი დამნაშავენიც არ უნდა ყოფილიყვნენ ეს ტუსაღები, ისინი უნდა წარმდგარიყვნენ სასამართლოს წინაშე. შეიძლება სამინისტროს გამოეპაროს ეს შემთხვევა, მაგრამ საბჭოს წევრი ჩიქოვანი ვალდებული იყო, გეცნო იგი ჩვენთვის.

ჩიქოვანი (ადგილიდან): მე ვთქვი ეს.

მესხიშვილი: თქვენ ეს დიდი ხანია უნდა გეთქვათ და თუ ყურადღებას არ მივაქცევდით, მხოლოდ მაშინ შეგეძლოთ პასუხი მოგეთხოვათ.

### სასამართლო და სადმინისტრაციო ფუნქცია.

მართალია სასამართლო და სადმინისტრაციო ფუნქციები ერთმანეთს სავსებით ჩამოშორებულნი არ არიან, მაგრამ სამისო მუშაობა სწარმოებს და ჩვენ ყოველ ღონეს ვიღებთ, რომ ეს მალე დამთავრდეს. აგრედვე საგანგებო სასამართლოს შესახებ: იურიდიულმა კომისიამ, მართალია, დიდი ხანია, რაც დაამზადა სათანადო კანონ-პროექტი, მაგრამ მთავრობაც ამზადებს თავის მხრივ და მალე წარმოუდგენთ ერ. საბჭოს.

## სოციალისტ-რევოლიუციონერები.

სოციალისტ-რევოლიუციონერების ფრაქციის სახელით ლაპარაკობს.

ის მოვლენები, რომელთაც შეეხო საბჭოს წევრი ჩიქოვანი, ხშირია ჩვენს ცხოვრებაში და სრულებით არ შეეფერება უფლებიან სახელმწიფოს.

### ბრძანებლობითი ნორმები.

კანონმდებელი და კანონის აღმასრულებელი ძალა ერთმანეთში შედუღებული უნდა იყოს, თუ ზნეობრივსა და ეთიკურ ნორმებს საზოგადოებაში ნაკლები გასავალი აქვთ, უნდა დააწესოთ ბრძანებლობითი ნორმები თორემ თუ კანონი ცხოვრებაში არ ტარდება, ჩვენი მთავრობის პრესტიჟს სცემს.

### Pro domo suo.

ორიოდე სიტყვა მინდა ვსთქვა ერთ საკითხის შესახებ, რომელსაც შეეხო ჩიქოვანი, საგანგებო სასამართლოს შესახებ, და რომლითაც ძლიერ დაინტერესებულა ჩვენი ფრაქცია. ყველამ უწყის, თუ რა მძიმეა ეს. გობეჩიას დაპატიმრება ჩვენთვის და მისი შვილების საქმის განხილვა ფერხდება იმის გამო, რომ ეს სასამართლო არ არის დაწესებული.

## უცხოეთის ამბები

**ინგლისელების და ფრანგების დატყვევება მოსკოვში.** მოსკოვში დააპატიმრეს ინგლისის და საფრანგეთის მოქალაქენი და აგრეთვე ფრანგების და სერბების ოფიცრები, რომლებზედაც ეჭვი აქვთ, რომ იმათ დამოკიდებულება აქვთ მურმანის ამბებთან.

**წევრები ამერიკის ჯარში.** როგორც იტყობინებიან ამერიკის ჯარში საფრანგეთის ტერიტორიაზე ამ ჟამად 190,000 წევრი იმყოფება. მათ შორის 650 ოფიცერია, 250 ექიმი და 34 მღვდელი.

**საფრანგეთის სოციალისტები.** პარიზიდან მიღებული ცნობებით საფრანგეთის სოციალისტები დეკრეტებით მოითხოვენ, რომ აუცილებლად გამოქვეყნებული იქნეს სამთა შეთანხმების სახელმწიფოთა ომის მიზნები, რადგან ცენტრალურ სახელმწიფოებში ხმა არის გავრცელებული, რომ გერმანიის მოწინააღმდეგე კოალიცია იბრძვის მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანია სრულიად მოსპოს.

**ფინლანდიაში.** ფინლანდიის სეიმის სოც.-დემ. ფრაქციის 95 წევრიდან ამ ჟამად ჰელსინგფორსში იმყოფება მხოლოდ 10 წევრი. დანარჩენი 85 წევრი დეპუტატობის უფლებას აყრილადაა ითვლება, რადგან მათ ბრალდებათ ამბოხებაში მონაწილეობის მიღება და სასამართლოში არიან მიცემულნი.

## თვითგამორკვევა ბათუმის ოლქში

გერმანიის დელეგაციის უფროსი გენ-ფონ-კრესი აუწყებს გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ ამ უკანასკნელის მიერ აღძრული პროტესტი ბათუმში მომხდარ რეფერენდუმის შესახებ. მან შეატყობინა ბერლინის მთავრობას. ეხლა გენ. ფონ-კრესი ატყობინებს ჩვენს გარეშე საქმეთა სამინისტროს გერმანიის გარეშე საქმეთა სამინისტროსაგან მიღებულ ცნობას, რომ გერმანიის ელჩს სტამბოლში მიეცა ინსტრუქცია შეატყობინოს ოტომანის საიმპერატორო მთავრობას შემდეგი: ის ფაქტი, რომ ოტომანის მთავრობამ ბათუმში ამ წლის 14 ივლისს თვით მოაწყო პლებისციტი სხვათა მონაწილეობის მოულოდნელად, ეწინააღმდეგება ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის დადგენილებას, რომლის ძალით წესწყობილების დაწყობა სამს (ბათუმის, ყარსის და არდაგანის) ოლქში უნდა მომხდარიყო თვით ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მეზობელ სახელმწიფოებთან შეთანხმებით. ამის გამო, თუ ვინიცობაა, რომელიმე ამ სახელმწიფოთაგან განაცხადებდა პროტესტს ოტომანის მთავრობის წინაშე ამნაირ მოქმედების წინააღმდეგ, გერმანიის მთავრობას არ შეეძლო ასეთი გამოსვლა კანონიერ საფუძვლს მოკლებულად ეცნო. („საქ. რ.").

## თეატრი და ხელოვნება

### ს. ჯოლევი (სენაკის მაზრა).

კვირას 14 ივლისს, ახალი სტილით, ადგილობრივი ძალების მიერ დადგმულ იქმნა სკოლის დარბაზში პიესა „და ძმა" და კომ. „მოლაყბენი". ხალხი ბლომად დაესწრო. დიდად ნასიამოვნები დარჩა მეტადრე მდაბიო ხალხი. დროის შესაფერი პიესა „და ძმა"-მ დიდი გავლენა იქონია მათზე; თითქმის განმეორებასაც გვთხოვდენ. წმინდა შემოსავალი 422 დარჩა. აქედან 200 მ. ქართულ უნივერსიტეტის სასარგებლოთ გაგზავნილ იქმნა თბილისში, ხოლო დანარჩენი 222 მანეთი მოხმარდა ადგილობრივ კულტურულ დაწესებულებებს.

ჯონდი კაკუბავა.

## კორესპონდენცია

### წერილი ქართლიდან

ქართლს ეხლა ადამიანი ძნელად იცნობს. ძველი დარბაისლური ქართლელის ხსენებაც კი აღარ არის. ყველა გიჟური გატაცებით სიმდიდრის შეძენას შესდგომია და ათასნაირ ხრიკებს იგონებს ბრალიანი თუ უბრალო, რომ რამე ნაირად ჯიბე გაისქელოს. პური გინდათ საყიდლად, მიხვალთ ამ კალოობა დროს გლეხკაცთან და იგი გაიწყობს ყველაფერს რაც გინდა, რომ სავსე ჰქონდეს ბეღლები და ორმოები.—სადა მაქვს პური, გეუბნებათ იგი, წელს მოუსავლიანობა იყო და იმდენიც ვერ მოვიმკე, რომ წლის ბოლომდის გამყვეს. მაგრამ აბა გაახსენეთ თხუთმეტს თუმანს მოგცემთ და მაშინვე არ გაჩნდეს პურიცა და ქერიც. გლეხკაცობა გამდიდრდა და გამდიდრდა კი არა, აღარც კი იცის რა უყოს ფულებს და რაში მოიხმაროს. ძველს სახლებს, რომელიც ჯერ კიდევ დიდხანს გასძლებდა და პატრონსაც ეყოფოდა და მისვლელ სტუმარსაც, ანგრევს და მის მაგივრად ახალს სახლებს სდგამს და მარსელის კრამიტით ჰხურავს. მაგრამ აბა გაუხსენეთ ამ ფულებით სავსე გლეხკაცს და სთხოვეთ, თქვენსავე მეზობელს დაეხმაროს, სესხად მიეცით პური ან ქერი, თუ მაშინვე რა გიპასუხოთ.—მოგცემ მაგრამ იმ პირობით რომ ერთს ფუთს სიმინდში მთელი კვირა მემსახურო და თავისივე მჭადი სჭამო.

ეს ახლად მოვლენილი სოფლის ბურჟუა გლეხკაცები მეტის მეტად თავგანწირულნი არიან, თუ ძველად ქართლში აქა-იქ სკოლები მაინც იყო და ცოტად თუ მეტად სწავლობდენ, ეხლა ეს ბურჟუები და მათის გავლენით სხვებიც გაიძახიან—რათ გვინდა სკოლა, ფულიც გვაქვს, ჩასაცმელიც, პურიც, მიწაც, იმან ისწავლოს ვისაც არაფერი გააჩნია. ჩვენიც, ვინც ნასწავლები არიან უნდა მოვსპოთ, რადგან მათ ნასწავლებსა და თავად-აზნაურებს მოვსპობთ, აი ნამდვილი თავისუფლება მაშინ დადგებოდა და ისე ვიცხოვრებთ, როგორც მოგვეპრიანება".

ამ თავისუფალ ბურჟუა გლეხკაცების ყველას ეშინიან; თვით მიწების ჩამომრთმევი კომისიაც ამ ბურჟუებს ვერ ეწევა და ვერაფერს უშვრება. თუ თავად-აზნაურს, რომელსაც ორი დღის ტალახი მეტი აქვს, დაუყოვნებლივ ართმევენ, ბურჟუა გლეხ-კაცს კი, რომელსაც აქვს 80—80 დღიური—არ ართმევენ. განა ასეთი დეკრეტია ჩვენის მთავრობისა მიწის შესახებ? არა, იქ ნათლად არის ნათქვამი, რომ ნორმაზედ ვისაც ზედმეტი აქვს, უნდა წაერთვას. მაგრამ გამოდის, რომ ზედმეტი მარტო თავად-აზნაურობის ჩამომავალ მემამულეს უნდა წაერთვას და მდიდარ გლეხ მემამულეს კი არა.

ცოტა რამ იმ კომისიების შესახებ, რომელთაც ჩვენმა რევოლიუციონურმა მთავრობამ ჩააბარა მიწების ჩამორთმევა. ეს კომისიები მეტის მეტად ნელა და ზანტად მუშაობენ, ავერ რამდენიმე თვეა (თუ არა ვსცდები სრული ორითვე ნახევარი) ერთს პატარა სოფელში არიან მოკალათებულნი და არც აქეთ იძვრიან, არც იქით. თუ ამ ნაბიჯით იარა ამ კომისიებმა, რასაკვირველია მთელი ათის წლის განმავლობაში არამც თუ მამულებს ჩამოართმევს, სოფლების უბრალო შემოვლასაც კი ვერ მოასწრებენ.

ქართლში ამ ჟამად თითქმის ყველა სოფლებში არსებობენ კოოპერატიული მაღაზიები, მაგრამ არც ერთზე არ შეიძლება ვსთქვათ, რომ ისინი სისრულით ემსახურებოდენ იმ იდეას, რისთვისაც ისინი არსებობენ. მთავარი მიზანი კოოპერაციისა ის არის, რომ პირიანს ფასებში მიაწოდოს მომხმარებელს საქონელი, მაგრამ ეს გარემოება ზედ დაივიწყებია და კომერციას გაუტაცნია და ისე ძვირფასობით საქონელი, რომ ხშირად კერძო მაღაზიებში უფრო იაფად იშოვება. მიზეზი სიძვირისა კიდევ ის არის რომ კავშირში, რომელშიც გაერთიანებულნი არსებობს და რომელშიაც ქართლის წვრილი კოოპერაციები არიან ჩაწერილნი მეტად მცირე მოსამსახურენი და განსაკუთრებით კი ინსტრუქტორები არიან, რომელთაც დიდი ჯამაგირები აქვთ დანიშნული და ყველა ეს მძიმე ტვირთად აწევს საქონელს. საჭიროა კოოპერატივები თავის პირდაპირი დანიშნულების აღსრულებას შეუდგნენ და მომხმარებლისთვის მაინც მოსპონ ის მდგომარეობა, რომლის მეოხებით დღევანდელი კოოპერატიული მაღაზიები კერძო პირთა დუქნებს დაემსგავსნენ.

ეგრელი

## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოდ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობების გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირად:

თბილისიდან გავა:

| | | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | დილის | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დილის | 8 | 35 |
| სანაინისაკენ | № 4/3ც | დილის | 1 | — |

თბილისში მოვა:

| | | | საათ. | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დილის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 4ც/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

## ლატარია

**აბარაქ ქვიშხეთში საუკეთესო კარმიდამოს ჩამონაჭერი 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა, აღნიშნული ცალკე პლანზე და დეკრეტის მხრივ უთვლად უდავო. მოგებას შეუძლიან რა დროსაც სურს დაიმტკიცოს.**

ლატარიის ბილეთები ათას ორმოცდა ათი (1050) ცალია. ბილეთი ღირს 20 მანეთი. ბილეთების წიგნაკები კერძო პირებს აქვთ დარიგებული გასასყიდათ. ყველა გამყიდველის წიგნაკების ფული უნდა ჩააბარონ ლატარიის ფულის ხაზინადარს გიორგი ლეჟავასბის ძე მაჭავარიანს (ნატარიუსი, გოლოვინის მოედანი სასტუმრო „კავკაზის" ეზოში). როდესაც სულ გაიყიდება ბილეთები, გამოცხადდება დღე ლატარიისა, რომელსაც დაესწრობიან ბილეთების მყიდველნი. ის დღეს ლატარიას მოაწყობენ ამისთვის სპეციალურად მოწვეულნი პირნი: ბ.ბ. დავით გურამიშვილი, პართენ გოთუა და კოტე მაყაშვილი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
ქ. თბილისის კომიტეტი.

## ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირის საბჭოსაგან

მოკლე ხანში საზღვარგარეთ მიემგზავრებიან ცნობისმოყვარეობისა და ვაჭრობის მცოდნე პირნი, საბჭო ამით აცხადებს რომ ვისაც სურს რისამე დაბარება სხვა და სხვა ქარხნების მოსამზადებლად, საჭირო ცნობების შეკრება ან სხვა და სხვა საქონლის სყიდვის შესახებ, ეწვიოთ მობრძანდნენ საბჭოს ბინაზე ყოველ დღე 11—12 საათამდე (ახალი დროით) და გაესაუბრონ თავიანთი სურვილი. მისამართი: ქ. თბილისი, ფრეილინის ქ. 11, ტელეფონი 9—18.

## მეორე ქართული კლუბი

„ახალი საქრებულო"
(მიხეილის პროსპექტი № 129).

კვირას 11 აგვისტოს

## სინემატოგრაფი

მუსიკა—ცეკვა

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. ს.

---

რადგან ამ ბოლო დროს გასასყიდლად გამოიტანეს

## ყალბი კონიაკი

რომელსაც ბოთლებზე მიკრული აქვს ეტიკეტი

## „დ. ზ. სარაჯიშვილი"-ს

ფირმისა, ხსენებულ ფირმის გამგეობა ამით აცხადებს, რომ იმ კონიაკის თვისებაზე რომელიც პირდაპირ ქარხანაში არ არის ნაყიდი იგი არავითარ პასუხისმგებლობას არა კისრულობს. (ქარხანა მოთავსებულია ოლღას ქუჩა, სახლი № 30). 2—1731—2

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მეორე რაიონის კომიტეტის ბინა

კანცელარია იმყოფება „საქართველოს" რედაქციაში. კანცელარია ღიაა ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, 11—2 საათამდის და 7—8 ს. საღ. (ახალ დროით.

1918 წ. ივლისის 25-და ქ. თბილისში გამოდის მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი ოფიციალური განყოფილებით

## „საქართველოს რესპუბლიკა"

გაზეთი ღირს 1 თვით 10 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 40 კ., სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. რედაქციის კანტორის მისამართი ქ. თბილისი, ბარონის ქუჩა № 6. რედაქტორი პ. დ. ხაჟვარჯიძე.

კვირას, 14 ივლისს 1918 წელს

გაიხსნა პირველი ხარისხის სასადილო

## „საქართველო" ყოფილი „ამირანი"

პუშკინის ქუჩა, ძველი სემინარიის შენობაში

შენობა ახლად შეკეთებულია ცალკე კაბინეტებით
დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.
სადილი შუადღის 12 ს.-დან საღამოს 5 საათამდე.
ვახშამი საღამოს 9 საათიდან ღამის 1 საათამდე.
სამზარეულო აზიური და ევროპიული, სასმელები ღვინოები საუკეთესო მარანიდან საუკეთესო მჟარ. ხელმძღვანელობით

## საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მოიჯარადრეების მოსამართლის დარბაზში.

## თბილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

ამით აცხადებს რომ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უძრავი ქონებისა სესხის შეუტანლობის გამო დანიშნულია 1918 წ. აგვისტოს. დაწვრილებითი ცნობები აღნიშნულია გაზ. „კავკაზის" 6 ივლისის № 138-ში

გაიხსნა

## თვალის სამკურნალო

(მუდმივი საწოლებით)

## ექიმი დონხონისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფონი 5—97.

ექიმი

## გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7 სასტუმრო „ბოსფორის" ახლოს.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

## სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ი. მ. მძინარიშვილისა და დ. მ. ნაზარბეგიანის

სამკურნალოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და („კირონი" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კირონის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე. ოპერაციები მიიღებიან ყოველ დღე, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

## ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს ქალების, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნებით) ავადმყოფების მიღება დილის 6 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიკის" პირდაპირ ტელეფონი 14—38.

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

## ნ. ლ. ცერიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, საშვილოსნოს და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სომხეთის ეკლესიის გვერდზე. 2 თვ.—1658.

მედიცინის დოქტორი

მოსე ანთიმოზის ძე

## ბალანდარიშვილი

უწინდელი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიული სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელ. № 17—21.

ექიმი

## ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად შარდიით (ცისტ. ბა) და მისი შედეგებით დასნეულებულს, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრო-ტერაპია და მასაჟი. მისამართი: მაჩაბლის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად. ა—1536—49